



ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის პირობები და გზამკვლევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საგრანტო კონკურსი ცხადდება სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის თემატური მიმართულებების - 1. „გრძელვადიანი და განმეორებადი შედეგების მომტანი მდგრადი პლატფორმის შექმნა და არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდებში კომპეტენციების განვითარება“ და 2. „საქართველოში რეგისტრირებული ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარება/გაძლიერების ხელშეწყობა“ ფარგლებში, რომლის მიზანია უზრუნველყოს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის ისეთი ცოდნისა და კომპეტენციების განვითარება, რომელიც განაპირობებს მათ შრომით ეფექტურობას, კონკურენტუნარიანობას და დასაქმებას.
2. თემატური მიმართულებები, რომლის ფარგლებშიც სააგენტო ახორციელებს გრანტის გაცემას, შეესაბამება ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტს.
3. საგრანტო კონკურსი ფინანსდება წლიური სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რომელსაც სააგენტო გასცემს ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე.
4. თემატური მიმართულებების მიხედვით, სააგენტოს მიერ ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე გასაცემი გრანტის საერთო მოცულობა განისაზღვრება 1 150 000 ლარით.
- 4.1 I თემატური მიმართულების „გრძელვადიანი და განმეორებადი შედეგების მომტანი მდგრადი პლატფორმის შექმნა და არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდებში კომპეტენციების განვითარება“ ფარგლებში გასაცემი გრანტის მოცულობა 900 000 ლარი.

4.2 II თემატური მიმართულების „საქართველოში რეგისტრირებული ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარება/გადმოიერების ხელშეწყობა“ ფარგლებში გასაცემი გრანტის მოცულობა 250 000 ლარი.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. I თემატური მიმართულების „გრძელვადიანი და განმეორებადი შედეგების მომტანი მდგრადი პლატფორმის შექმნა და არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდებში კომპეტენციების განვითარება“ ფარგლებში საგრანტო პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს:

1.1 რეგიონში რეგისტრირებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციას; ახალგაზრდული ორგანიზაცია არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

1.2 რეგიონში რეგისტრირებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რომელიც ქმნის კონსორციუმს (კონსორციუმი გულისხმობს ახალგაზრდულ და საქართველოში რეგისტრირებულ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აერთიანებენ თავიანთ რესურსებს და ახდენენ აქტივობების კოორდინაციას საერთო მიზნის მისაღწევად). საგრანტო პროექტის წარმოდგენი, წამყვანი ორგანიზაცია და სააგენტოსთან ანგარიშვალდებულებული/პასუხისმგებელია რეგიონში რეგისტრირებული ახალგაზრდული ორგანიზაცია. განმცხადებელმა კონკრეტულად უნდა გაწეროს საგრანტო პროექტსა და სამოქმედო გეგმაში თითოეული ორგანიზაციის მიერ შესასრულებელი აქტივობები/ღონისძიებები წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისად, სადაც სააგენტოსგან მოთხოვნილი ბიუჯეტის 50% გაწერილი იქნება განმცხადებელი ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელ აქტივობებზე.

1.3 კონკრეტულ რეგიონში რეგისტრირებული რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ შექმნილი კონსორციუმის მიერ შემუშავებული საგრანტო პროექტი, რომლის წარმოდგენი, შესრულებაზე პასუხისმგებელი, წამყვანი და სააგენტოსთან ანგარიშვალდებულებულია ერთ-ერთი მათგანი. განმცხადებელმა კონკრეტულად უნდა გაწეროს საგრანტო პროექტსა და სამოქმედო გეგმაში თითოეული ორგანიზაციის მიერ შესასრულებელი აქტივობები/ღონისძიებები წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისად, სადაც სააგენტოსგან მოთხოვნილი ბიუჯეტის 50% გაწერილი იქნება განმცხადებელი ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელ აქტივობებზე.

I თემატური მიმართულების ძირითად მიზანს წარმოადგენს თითოეულ რეგიონში გრძელვადიანი და განმეორებადი შედეგების მომტანი ახალგაზრდული მდგრადი პლატფორმების შექმნა, რომლებიც არაფორმალური განათლების გზით უზრუნველყოფენ ახალგაზრდების კომპეტენციების ზრდას. ხელს შეუწყობს და გააადვილებს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, კონკრეტულ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს, ადგილობრივ ხელისუფლებას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას და ურთიერთობას. მხარს დაუჭერს ახალგაზრდულ ინიციატივებს და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას ადგილობრივ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში და სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებში.

პლატფორმის ფარგლებში განსავითარებელი შესაბამისი კომპეტენციები:

1. მოქალაქეობრივი კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებაში. ასევე კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვაში.

თემატური მოდულები:

1. დემოკრატიული საფუძვლები;
2. მონაწილეობა;
3. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;
4. ისტორია და პოლიტიკური იდეოლოგიები;
5. პრაქტიკული სამართალი;
6. სამოქალაქო უსაფრთხოება;

2. გარემოსდაცვითი კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც განაპირობებს მის მიერ ბუნებრივი გარემოს დაცვისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელებას.

თემატური მოდულები:

1. გარემო, ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა;
2. განახლებადი ენერჯიები და ენერგოეფექტურობა;
3. ნარჩენების მართვა.

3. ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში, ასევე ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების ეფექტურ გამოყენებაში პირადი, პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრების საკეთილდღეოდ.

თემატური მოდულები:

1. ციფრული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
2. საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობა;
3. გამოყენებითი მეცნიერება.

4. სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვას, იდეების გენერირებასა და განხორციელებას, პრობლემების ანალიზსა და მათ ეფექტიან გადაწყვეტას როგორც საქმიან, ასევე პირად სივრცეში და დაეხმაროს მას, რათა იდეა აქციოს საქმედ.

თემატური მოდულები:

1. ინიციატივების გამოჩენა, საპროექტო ფორმით ჩამოყალიბება და განხორციელება;

2. კრიზისისა და ცვლილებების მართვა;
3. ბიზნესის საფუძვლები და ფინანსების მართვა.

5. შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება უკვე არსებული გამოცდილების და მიღწევების გამოყენებაში ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

თემატური მოდულები:

1. შემოქმედებითობა/კრეატიულობა;
2. კრიტიკული აზროვნება.

6. დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რათა მან შეძლოს საკუთარი სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა, საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში.

7. ურთიერთობის კომპეტენცია (საბაზო)

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია ინდივიდებსა და ჯგუფებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დასამყარებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

თემატური მოდულები:

1. ჯანსაღი კომუნიკაცია;
2. გუნდური მუშაობა;
3. კონფლიქტების მართვა და არამალადობრივი ურთიერთობა;
4. საქმიანი ურთიერთობები;
5. ემოციური ინტელექტი.

8. კულტურული გამოხატვის და კულტურათმორისი ურთიერთობის კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება კულტურულ გამოხატვაში, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიურ აღქმაში, დაფასებაში, დაცვასა და განვითარებაში.

თემატური მოდულები:

1. კულტურათმორისი განათლება;
2. კულტურათმორისი კომუნიკაცია;
3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
4. კულტურული თვითგამოხატვა ხელოვნების და შემოქმედების საშუალებით.

9. ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას საშუალებას მისცემს, იზრუნოს საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

თემატური მოდულები:

1. ჯანმრთელობის დაცვა და მავნე ჩვევები;
2. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები;
3. თავისუფალი დროის ორგანიზება, რეკრეაცია.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტი უნდა მოიცავდეს მინიმუმ სამი ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციის განვითარებას.

განმცხადებელი ორგანიზაცია ვალდებულია წარმოადგინოს, განაცხადით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტში/რეგიონში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა გულისხმობდეს მუნიციპალიტეტის/გუბერნიის წერილს ან/და რეკომენდაციას პროექტის განხორციელების საჭიროების შესახებ, პროექტით გათვალისწინებული პრობლემატიკის გამოვლენისა და მოგვარებასთან დაკავშირებულ ჩატარებულ კვლევას ან/და მოკვლევას, სამიზნე ჯგუფების ხელმოწერებს, ფოტო-ვიდეო მასალას და სხვა.

განმცხადებელი ორგანიზაცია, საგრანტო კონკურსში დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში, ვალდებულია ჩაერთოს II თემატური მიმართულების ფარგლებში გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ ახალგაზრდული ორგანიზაციების გადამზადება/გამლიერების განსახორციელებელ აქტივობებში.

საგრანტო კონკურსის დასრულების შემდეგ, საგრანტო კომისიის მიერ განხილული და შეფასებული საგრანტო პროექტების თანაბარი საბოლოო ჯამური ქულის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საგრანტო პროექტს, რომელიც ნაკლები ბიუჯეტით აღწევს დაგეგმილ საბოლოო მიზანს.

I თემატური მიმართულების ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები

შენიშვნა : თითოეულ კრიტერიუმს ენიჭება ქულა 0-დან 20 ქულის ჩათვლით

| კრიტერიუმები | მაქსიმალური ქულა |
|---|------------------|
| <p>1. პროექტის შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და თემატურ მიმართულებასთან</p> <ul style="list-style-type: none"> • რამდენად შეესაბამება პროექტი კონკურსში მოთხოვნილ მიზნებსა და თემატურ მიმართულებებს? • შეიცავს თუ არა პროექტი დამატებითი ღირებულების ელემენტს, როგორცაა გენდერული თანასწორობისა და უმცირესობათა უფლებების დაცვა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და სხვა? | 20 |
| <p>2. ეფექტურობა და განხორციელებადობა</p> | 20 |

| | |
|--|------------|
| <ul style="list-style-type: none"> • არის თუ არა შემოთავაზებული აქტივობები შესაფერისი, პრაქტიკული და თანმიმდევრული მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მიმართ? • არის თუ არა აქტივობების სამოქმედო გეგმა ნათელი და განხორციელებადი? • შეიცავს თუ არა პროექტი დაგეგმილი შედეგების ობიექტურად შემოწმებად/გაზომვად ინდიკატორებს? არის თუ არა რაიმე ტიპის შეფასება (პროექტის შედეგები) დაგეგმილი? • არის თუ არა პროექტით დაგეგმილი აქტივობების განხორციელება ეფექტური? • არის თუ არა პროექტი ეფექტური, განმეორებადი და გრძელვადიანი დასრულების შემდგომ? • არის თუ არა პროექტის განმახორციელებელი პარტნიორების ჩართულობა და მონაწილეობა დამაკმაყოფილებელი? | |
| <p>3. პროექტის მდგრადობა</p> <ul style="list-style-type: none"> • რამდენად სავარაუდოა, რომ პროექტს ექნება გამრავლების ეფექტი (მათ შორის გამეორება სხვათა მიერ, სამომავლო გაფართოება განმახორციელებლების მიერ და ინფორმაციის გაზიარება). • მდგრადია თუ არა პროექტის მოსალოდნელი შედეგები? <ul style="list-style-type: none"> - ფინანსურად (როგორ გაგრძელდება პროექტის აქტივობების დაფინანსება პროექტის შემდეგ?) - ინსტიტუციურად (დარჩებიან თუ არა პროექტის შემდეგ ის სტრუქტურები, რომლებიც იძლევიან აქტივობების განხორციელების საშუალებას?) - პოლიტიკების დონეზე (სადაც შესაძლებელია) (მაგალითად, მიგვიყვანს თუ არა პროექტი გაუმჯობესებულ კანონმდებლობამდე, პრაქტიკამდე, მეთოდამდე, ქვევის წესებამდე?) • შეინარჩუნებენ თუ არა პლატფორმები პროფილს პროექტის დასრულებიდან 2 წლის ვადით და შეძლებენ თუ არა სრულფასოვან/სრულყოფილ ფუნქციონირებას? | 20 |
| <p>4. სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</p> <ul style="list-style-type: none"> • რამდენად სტრატეგიულად არის შერჩეული პროექტის სამიზნე ჯგუფები? • რამდენად ნათლად არის განსაზღვრული სამიზნე ჯგუფების საჭიროებები და ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების გზები? • რამდენად ექნება პროექტს გავლენა მიზნობრივ ჯგუფებზე? | 20 |
| <p>5. პროექტის ბიუჯეტი და ხარჯთეფექტურობა</p> <ul style="list-style-type: none"> • არის თუ არა პროექტის ბიუჯეტი ხარჯთეფექტური და რეალისტური? • იძლევა თუ არა საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი პროექტის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას და რამდენად შეესაბამება იგი პროექტის სამოქმედო გეგმას? | 20 |
| <p>კრიტერიუმების შეფასების ჯამური ქულა</p> | 100 |

2. II თემატური მიმართულების საქართველოში რეგისტრირებული ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარება/გაძლიერების ხელშეწყობის ფარგლებში საგრანტო პროექტების წარმოდგენის უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ ახალგაზრდულ ქოლგა ორგანიზაციას. **ახალგაზრდული ქოლგა ორგანიზაცია** - აერთიანებს საქართველოში რეგისტრირებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ადვოკატირებას უწევს ახალგაზრდულ პოლიტიკას და აჟღერებს ახალგაზრდული ორგანიზაციების საჭიროებებს და ინტერესებს, ხელს უწყობს როგორც წევრი, ასევე ახლადშექმნილი ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებასა და მათ მონაწილეობას სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში. განმცხადებელ ქოლგა ორგანიზაციას რეგიონების მასშტაბით უნდა ყავდეს ჯამში მინიმუმ 10 (ათი) წევრი ორგანიზაცია.

II თემატური მიმართულება გულისხმობს, რეგიონებში რეგისტრირებული ორგანიზაციების მოძიებას, ორგანიზაციული განვითარებისთვის საჭირო უნარების შეძენის მიზნით შესაბამისი სწავლების ჩატარებას, რომელიც მოიცავს საპროექტო განაცხადის გაწერას, სამუშაო გეგმის - პროექტის

ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების/აქტივობების დროში გაწერას, ბიუჯეტის შედგენას, დონორი ორგანიზაციების მოძიებას და სხვა საჭირო უნარებს.

ახალგაზრდული ორგანიზაციების საჭიროებების დადგენა და ორგანიზაციული გაძლიერების გეგმა კონკრეტულად უნდა გაიწეროს საგრანტო პროექტსა და სამოქმედო გეგმაში.

ორგანიზაციული გაძლიერების გეგმის განხორციელების შედეგად ახალგაზრდულ ორგანიზაციებში უნდა დაინერგოს ან/და გაუმჯობესდეს:

- ორგანიზაციის ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვისათვის საჭირო მართვის სისტემა, რაც შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდულ ორგანიზაციას უფრო ეფექტიანად გაუმკლავდეს გაზრდილ რისკებს, საჭიროებებს და ვალდებულებებს;
- ახალგაზრდული საქმიანობისა თუ შინაარსობრივად მსგავსი სხვა მიმართულებების შესაბამისად, თანამშრომელთა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების და ასევე, მათი გუნდური შეჭიდულობის ხელშემწყობი სისტემა, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციული მიზნების მიღწევას;
- ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის დანერგვა, ადმინისტრაციული სტრუქტურების და პროცედურების ჩამოყალიბება, მათ შორის მმართველი ორგანოს დაკომპლექტებისა და საქმიანობის წესის შემუშავება;
- მონიტორინგისა და შეფასების სისტემა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR), სოციალური მედიის სტრატეგიების და საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება და განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს სამთავრობო სტრუქტურებთან, დონორებთან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობას და სამიზნე ჯგუფების მოზიდვას.

პროგრამის მონაწილეებს სხვადასხვა ღონისძიებებისა და მენტორინგის შედეგად უნდა შეეძლოთ:

- ახალგაზრდული ორგანიზაციის ეფექტიანი და მდგრადი საქმიანობის ხელშემწყობი სისტემის ჩამოყალიბება;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის აგება და ინსტიტუციური განვითარება;
- ახალგაზრდული ორგანიზაციის განვითარების გეგმის შემუშავება, ფინანსური დაგეგმვა და მმართველობის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზაციის განვითარების და მდგრადობის შენარჩუნების საკითხებს;
- ფონდების მოძიება და ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებისთვის კონკურენტუნარიანი საგრანტო აპლიკაციების მომზადება;
- შედეგზე ორიენტირებული პროექტების მომზადება და განხორციელება;

- მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR), სოციალური მედიის სტრატეგიების და საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება.

განმცხადებელი ორგანიზაცია ვალდებულია პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ისგან წარმოადგინოს წარსულში ან მიმდინარე თანამშრომლობის შესახებ წერილი ან/და რეკომენდაცია განმცხადებელი ორგანიზაციის შესახებ.

ასევე, განმცხადებელი ქოლგა ორგანიზაცია ვალდებულია წარმოადგინოს მინიმუმ ბოლო ორი წლის მანძილზე გაწევრიანებული რეგიონული ორგანიზაციების ნუსხა (ორგანიზაციის სახელწოდება, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, ორგანიზაციის მისამართი და საიდენტიფიკაციო კოდი) და შესაბამისი დოკუმენტაცია ორგანიზაციების ქოლგა ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

II თემატური მიმართულების ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები

შენიშვნა : თითოეულ კრიტერიუმს ენიჭება ქულა 0-დან 25 ქულის ჩათვლით

| კრიტერიუმები | მაქსიმალური ქულა |
|---|------------------|
| <p>1. პროექტის შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და თემატურ მიმართულებასთან</p> <ul style="list-style-type: none"> • რამდენად შეესაბამება პროექტი კონკურსში მოთხოვნილ მიზნებსა და თემატურ მიმართულებებს? • რამდენად სტრატეგიულად არის შერჩეული პროექტის სამიზნე ჯგუფები? რამდენად ნათლად არის განსაზღვრული მათი საჭიროებები? | 25 |
| <p>2. ეფექტურობა და განხორციელებადობა</p> <ul style="list-style-type: none"> • არის თუ არა შემოთავაზებული აქტივობები შესაფერისი, პრაქტიკული და თანმიმდევრული მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მიმართ? • არის თუ არა აქტივობების სამოქმედო გეგმა ნათელი და განხორციელებადი? • შეიცავს თუ არა პროექტი დაგეგმილი შედეგების ობიექტურად შემოწმებად/გაზომვად ინდიკატორებს? • არის თუ არა პროექტის განმახორციელებელი პარტნიორების ჩართულობა და მონაწილეობა დამაკმაყოფილებელი? | 25 |

| | |
|---|------------|
| <p>3. პროექტის მდგრადობა</p> <ul style="list-style-type: none"> • რამდენად ექნება პროექტს გავლენა მიზნობრივ ჯგუფებზე? • რამდენად სავარაუდოა, რომ პროექტს ექნება გამრავლების ეფექტი (მათ შორის გამეორება სხვათა მიერ, სამომავლო გაფართოება განმახორციელებლების მიერ და ინფორმაციის გაზიარება). • მდგრადია თუ არა პროექტის მოსალოდნელი შედეგები? <ul style="list-style-type: none"> - ინსტიტუციურად (დარჩებიან თუ არა პროექტის შემდეგ ის სტრუქტურები, რომლებიც იძლევიან აქტივობების განხორციელების საშუალებას?) - პოლიტიკების დონეზე (სადაც შესაძლებელია) (მაგალითად, მიგვიყვანს თუ არა პროექტი გაუმჯობესებულ კანონმდებლობამდე, პრაქტიკამდე, მეთოდამდე, ქცევის წესებამდე?) | 25 |
| <p>4. პროექტის ბიუჯეტი და ხარჯთეფექტურობა</p> <ul style="list-style-type: none"> • არის თუ არა პროექტის ბიუჯეტი ხარჯთეფექტური და რეალისტური? • იძლევა თუ არა საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი პროექტის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას და რამდენად შეესაბამება იგი პროექტის სამოქმედო გეგმას? | 25 |
| <p>კრიტერიუმების შეფასების ჯამური ქულა</p> | 100 |

3. აუცილებელია, რომ საპროექტო განაცხადის წარმდგენი ორგანიზაცია დარეგისტრირდეს სააგენტოს ვებ-გვერდზე youthplatform.gov.ge, რომლის შემდეგაც განმცხადებელი შეძლებს შეავსოს საგრანტო პროექტის აპლიკაცია და წარმოადგინოს პროექტი სააგენტოში.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. *I თემატური მიმართულების* ფარგლებში გათვალისწინებული დაფინანსების საერთო ოდენობა თითოეულ რეგიონზე შეადგენს 90 000 ლარს.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, თითოეულ რეგიონზე გათვალისწინებულია მაქსიმუმ სამი საგრანტო პროექტის დაფინანსება.

თანხის მოცულობა, რომლის მოთხოვნაც შესაძლებელია ერთი საგრანტო პროექტის დასაფინანსებლად:

მინიმალური თანხა - 30 000 ლარი.

მაქსიმალური თანხა - 90 000 ლარი;

II თემატური მიმართულების ფარგლებში გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა - 250 000 ლარი;

2. *I თემატური მიმართულების* ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 თვეს და გულისხმობს დაფინანსების მოთხოვნას 61000 ლარიდან - 90 000 ლარი;

30 000 ლარიდან - 60 000 ლარის მოთხოვნის შემთხვევაში საგრანტო პროექტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში პროექტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ (6 და 10 თვე), საგრანტო კონკურსის პირობების შესაბამისად შექმნილი პლატფორმა უნდა განაგრძობდეს ფუნქციონირებას, მდგრადი და განმეორებადი შედეგების უზრუნველყოფის გათვალისწინებით გრძელვადიან პერსპექტივაში.

3. II თემატური მიმართულების ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 თვეს;

საგრანტო პროექტისა და ბიუჯეტის შედგენისას განმცხადებელმა არაუმეტეს 50 000 ლარი საკუთარი ორგანიზაციული გაძლიერებისთვის უნდა გაითვალისწინოს, დაასაბუთოს საჭიროება და შესაბამისი ჩასატარებელი აქტივობები. ხოლო, დარჩენილი 200 000 ლარი გამოიყენოს საგრანტო კონკურსის I თემატური მიმართულების ფარგლებში დაფინანსებული რეგიონების ახალგაზრდული ორგანიზაციების გასაძლიერებლად. შესაძლებელია, გარდა ზემოაღნიშნულისა, გადამზადება/გაძლიერების პროექტში ჩართოს საკუთარი რესურსით მოძიებული სხვა რეგიონალური ორგანიზაცია/ორგანიზაციები.

4. სასურველია განმცხადებელმა წარმოდგენილ განაცხადში, საგრანტო პროექტის დაწყების ვადად განსაზღვროს 2020 წლის ივნისის თვე.

5. საგრანტო პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხელფასების საერთო ოდენობა (პროექტის ხელმძღვანელის, თანაშემწის, ბუღალტერის და ა.შ.) არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოდან მოთხოვნილი თანხის 30%-ს).

6. თანადაფინანსება არ არის აუცილებელი მოთხოვნა მოცემული კონკურსის ფარგლებში. მისასაღმებელია საგრანტო პროექტის მთლიანი ღირებულების 10%-მდე თანადაფინანსება. თანადაფინანსების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ღირებულების 50%-ს.

7. კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციები გათავისუფლებული იქნებიან დამატებითი ღირებულების გადასახადიდან (დღგ) პროექტით გათვალისწინებული შესყიდვების ფარგლებში. შესაბამისად, პროექტის ბიუჯეტში შესასყიდად გათვალისწინებული საქონლის ფასები არ უნდა შეიცავდეს დღგ-ს. საქონლის ან მომსახურების დღგ-ის ჩათვლით შესყიდვის შემთხვევაში გამარჯვებულ ორგანიზაციას შეუძლია ჩაითვალოს ან დაიბრუნოს დღგ, რომელიც უნდა მოიყენოს მხოლოდ პროექტის ფარგლებში.

მუხლი 4. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია

1. საგრანტო პროექტი (დანართი N1 და ივსება youthplatform.gov.ge აპლიკაციიდან ორგანიზაციის რეგისტრირების შემდეგ);

2. საგრანტო პროექტის სამოქმედო გეგმა (მოიცავს დანართი N1.1 და იტვირთება youthplatform.gov.ge აპლიკაციიდან ორგანიზაციის რეგისტრირების შემდეგ);

3. საგრანტო პროექტის ბიუჯეტი (მოიცავს დანართი N1.2 და იტვირთება youthplatform.gov.ge აპლიკაციიდან ორგანიზაციის რეგისტრირების შემდეგ);

4. მონაცემები პროექტში ჩართული პირების შესახებ (პროექტზე პასუხისმგებელი და პროექტში ჩართული პირების CV).

5. პროექტის განხორციელების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და რეკომენდაცია: **I თემატური მიმართულების** ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტის განმცხადებელი ორგანიზაცია ვალდებულია ატვირთოს აპლიკაციის შესაბამის ველში, განაცხადით გათვალისწინებულ

მუნიციპალიტეტში/რეგიონში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა გულისხმობდეს მუნიციპალიტეტის/გუბერნიის წერილს ან/და რეკომენდაციას პროექტის განხორციელების საჭიროების შესახებ, პროექტით გათვალისწინებული პრობლემატიკის გამოვლენისა და მოგვარებასთან დაკავშირებულ ჩატარებულ კვლევას ან/და მოკვლევას, სამიზნე ჯგუფების ხელმოწერებს, ფოტო-ვიდეო მასალას და სხვა.

II თემატური მიმართულებების ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტის განმცხადებელი ორგანიზაცია ვალდებულია ატვირთოს აპლიკაციის შესაბამის ველში, პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ისგან წარსულში ან მიმდინარე თანამშრომლობის შესახებ წერილი ან/და რეკომენდაცია განმცხადებელი ორგანიზაციის შესახებ.

ასევე, განმცხადებელი ქოლგა ორგანიზაცია ვალდებულია წარმოადგინოს მინიმუმ ბოლო ორი წლის მანძილზე გაწევრიანებული რეგიონული ორგანიზაციების ნუსხა (ორგანიზაციის სახელწოდება, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, ორგანიზაციის მისამართი და საიდენტიფიკაციო კოდი) და შესაბამისი დოკუმენტაცია ორგანიზაციების ქოლგა ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. თანადაფინანსების დოკუმენტი იტვირთება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო პროექტს სააგენტოს გარდა ჰყავს სხვა ფინანსური მხარდამჭერი სავალდებულოა, აიტვირთოს თანადაფინანსების დოკუმენტი.

თანადაფინანსების ფორმასა და სტრუქტურას თავად დამფინანსებელი ადგენს, მისი ჩამოტვირთვა არ არის შესაძლებელი სააპლიკაციო ფორმიდან.

თანადაფინანსების დოკუმენტში ზუსტად უნდა იყოს ასახული ის თანხა და ბიუჯეტის პუნქტები, რომელსაც სხვა ორგანიზაცია თუ ფიზიკური პირი აფინანსებს.

მუხლი 5. საგრანტო კონკურსზე რეგისტრაცია და საგრანტო პროექტის შევსების წესი

1. საგრანტო კონკურსში რეგისტრაცია:

ა) საგრანტო პროექტის რეგისტრაცია ხდება ელექტრონულ ბაზაში youthplatform.gov.ge – 2020 წლის 24 თებერვლიდან - 31 მარტის 18:00 საათამდე.

2. საგრანტო პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისთვის საჭიროა:

ა) ორგანიზაცია/განმცხადებელი, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (youthplatform.gov.ge) შესვლის შემდეგ მთავარ გვერდზე არსებულ ლილაკზე “დარეგისტრირდი“ დაჭერის და მომდევნო გვერდზე გადასვლის შემდეგ “აპლიკაციის შევსება“-ზე დაჭერით იწყებს ახალი მომხმარებლის რეგისტრაციას და აპლიკაციის შევსებას.

ბ) განმცხადებელი ახალ მომხმარებელს არეგისტრირებს შემდეგი ინფორმაციის საშუალებით:

ბ.ა) საგრანტო პროექტის წარმდგენი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ.ბ.) მოქმედი ელექტრონული ფოსტა;

ბ.გ.) პაროლის მითითება და განმეორება.

რეგისტრაციის გავლის შემდეგ აპლიკაციაში მიეთითება ინფორმაცია რეგისტრაციის წარმატებით გავლის შესახებ.

გ) საგრანტო პროექტის აპლიკაციის გვერდი ღია იქნება კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში. განმცხადებელს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დროს შევიდეს გვერდზე და გადახედოს მას გამოგზავნამდე.

დ) საგრანტო კონკურსის დასრულების შემდეგ, პროგრამიდან ჩამოტვირთული საგრანტო პროექტები, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად აღირიცხება სააგენტოს ელექტრონულ კანცელარიაში.

3. საგრანტო პროექტის შევსების წესი:

ა) საგრანტო პროექტების მიღება ხდება მხოლოდ ელექტრონული აპლიკაციის ფორმის შევსების შემთხვევაში. არც ერთი სხვა გზით გამოგზავნილი პროექტი არ განიხილება ექსპერტთა კომისიისა და საგრანტო კომისიის მიერ; საგრანტო პროექტის აპლიკაცია ივსება ქართული შრიფტით (Sylfaen);

ბ) საგრანტო აპლიკაციის ყველა ველის შევსება სავალდებულოა და აღნიშნულია შემდეგი ნიშნით: „*“. შეუვსებელი ველების შემთხვევაში საგრანტო პროექტი არ გამოიგზავნება.

გ) ერთ ორგანიზაციას აქვს მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ გამოიგზავნება ერთზე მეტი განაცხადი, საგრანტო პროექტი მოიხსნება კონკურსიდან;

საგრანტო პროექტში (დანართი N1) მიეთითება შემდეგი ძირითადი ინფორმაცია:

ორგანიზაციის სახელწოდება*

ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი*

ორგანიზაციის რეესტრში რეგისტრაციის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი)*

ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი*

ორგანიზაციის მისამართი*

საკონტაქტო ელ-ფოსტა*

ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, ტელეფონი, მისამართი და ელ.ფოსტა*

თემატური მიმართულება *

კომპეტენციები *

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი სფერო (მაქსიმუმ 300 სიტყვა)*

ორგანიზაციის მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი *

(აღწერეთ თქვენს მიერ განხორციელებული პროექტის შეფასებისთვის შემუშავებული მდგრადობის ელემენტი) (მაქსიმუმ 500 სიტყვა)

პროექტის სახელწოდება*

სააგენტოდან მოთხოვნილი თანხა (50 სიმბოლო)*

მიუთითეთ ციფრი **30 000** -ს და **90 000** -ს შორის

სხვა წყაროებიდან მისაღები თანადაფინანსების ოდენობა*

მიუთითეთ ციფრი **0** -ს და **100000** -ს შორის

ორგანიზაციის ფინანსური წვლილი პროექტში*

მიუთითეთ ციფრი **0** -ს და **100000** -ს შორის

პროექტის აღწერა (2-3 წინადადებით, მოკლედ აღწერეთ პროექტის მიზანი)(მაქსიმუმ 100 სიტყვა) *

რომელ რეგიონში განხორციელდება პროექტი (დააკონკრეტეთ მუნიციპალიტეტ(ებ)ი) *

საპროექტო განაცხადის წარდგენის თარიღი*

პროექტის დაწყების თარიღი (უნდა ემთხვეოდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პროექტის დაწყების თარიღს)*

პროექტის დასრულების თარიღი (უნდა ემთხვეოდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პროექტის დასრულების თარიღს)*

გაგზავნილია ან გაიგზავნება თუ არა პროექტი სხვა დონორთან?*

(თუ კი, ვისთან?)

პროექტზე პასუხისმგებელი პირი*

(სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი)

პროექტის ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია*

(სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი)

პრობლემის აღწერა (მაქსიმუმ 500 სიტყვა)*

(მოკლედ აღწერეთ რა პრობლემის გადაჭრას ემსახურება პროექტი, რატომ არის მნიშვნელოვანი მისი განხორციელება? აღწერეთ პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები, დაასაბუთეთ განსახორციელებელი პროექტის ზეგავლენის მექანიზმი პრობლემის მოგვარების კუთხით).

პროექტის მიზანი (მაქსიმუმ 1000 სიტყვა)*

(გულისხმობს მოკლე აღწერას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გასურთ გრძელვადიან პერიოდში. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც მიმართული იქნება ზემოთ აღწერილი პრობლემის მოგვარებისკენ. აღწერეთ საბოლოო მიზან(ებ)ი და სპეციფიური/უშუალო მიზან(ებ)ი. სპეციფიური/უშუალო მიზნის მიღწევას წვლილი შეაქვს საბოლოო მიზნის მიღწევაში. უშუალო მიზანი აღწერს სასურველ ცვლილებას პროექტის უშუალო ბენეფიციარების ჯგუფში, ხოლო საბოლოო მიზანი ეხება სასურველ ცვლილებებს საბოლოო ბენეფიციარებისა და ზოგადად საზოგადოებისათვის).

სამიზნე ჯგუფები (უშუალო ბენეფიციარები)*

(სამიზნე ჯგუფები (ფიზიკური პირები, ორგანიზაციები) - პროექტის განხორციელებიდან უშუალო სარგებლის მიძღვნილი ჯგუფები გრძელვადიან პერსპექტივაში (მიუთითეთ ბენეფიციართა ასაკი და დააკონკრეტეთ 14-29 წლამდე ახალგაზრდა ბენეფიციარების რაოდენობა, ასევე რა რაოდენობის ახალგაზრდები/ორგანიზაციები მიიღებენ სარგებელს პროექტის დასრულებიდან ორი წლის განმავლობაში).

პროექტის საბოლოო ბენეფიციარები (მაქსიმუმ 200 სიტყვა)*

(სამიზნე ბენეფიციარები - საზოგადოების ის ჯგუფ(ებ)ი (ფიზიკური პირები, ორგანიზაციები, სათემო გაერთიანებები და სხვა), რომელიც პროექტის განხორციელების გავლენის შედეგად ხანგრძლივადიან პერსპექტივაში მიიღებს სარგებელს (ჩაწერეთ ბენეფიციართა ასაკი).

მოსალოდნელი შედეგები (მაქსიმუმ 800 სიტყვა)*

(გულისხმობს დაგეგმილი აქტივობების კონკრეტულ შედეგებს უშუალო მიზნის მიღწევის გზაზე. აღწერეთ, რომელი შედეგები რომელი უშუალო მიზნის (თუ გულისხმობს ერთზე მეტ მიზანს) მიღწევას გამოიწვევს. გაითვალისწინეთ, რომ ასევე უნდა გქონდეთ განსაზღვრული თუ რომელი დაგეგმილი აქტივობა რომელ მოსალოდნელ შედეგს ითვალისწინებს პროექტის დასრულებამდე და დასრულებიდან ორი წლის განმავლობაში).

ძირითადი აქტივობები (მაქსიმუმ 800 სიტყვა)*

(გულისხმობს ზედმიწევნით კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებიც პასუხობენ შემდეგ კითხვებს: როგორ მიაღწევთ თქვენი პროექტის მოსალოდნელ შედეგებს? ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? რა არის მათი ფუნქციები პროექტში? (მაგალითად, თუ მოსალოდნელი შედეგია უშუალო ბენეფიციართა გაზრდილი დასაქმების უნარები, ამის მისაღწევად ერთ-ერთი აქტივობა შეიძლება იყოს ტრენინგი, რომელიმე კონკრეტული პროფესიის უნარ-ჩვევაში ან ზოგად საკვანძო კომპეტენციებში, როგორცაა კომუნიკაციის უნარი, ან პრობლემების გადაწყვეტის უნარი და სხვა).

მონიტორინგი და შეფასება (მაქსიმუმ 1000 სიტყვა)*

(აღწერეთ, როგორ შეუძლია სააგენტოს დააკვირდეს პროექტის განხორციელების მიმდინარეობას და პროექტის დასრულებიდან ორი წლის განმავლობაში რა ინდიკატორებით შეიძლება შეაფასოს პროექტის აქტივობების წარმატებით ან წარუმატებლად შესრულება და დაგეგმილი მოსალოდნელი შედეგების მიღწევა (მაგალითად, თუ აქტივობაა ტრენინგი, მისი წარმატებით განხორციელების ინდიკატორი შეიძლება იყოს დამსწრეთა რაოდენობა ან/და დამსწრეთა მიერ პრე და პოსტ ტესტირების შედეგები, ტრენინგის მონაწილეთა შეფასებები).

პროექტთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები, რისკები (მაქსიმუმ 200 სიტყვა)*

(მოკლედ აღწერეთ ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს (რისკი) ან ხელი შეუწყოს (დაშვება) პროექტის განხორციელებას. ახსენით, როგორ შეეცდებით სავარაუდო დაბრკოლებების გადალახვას).

პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციის დასახლება*

(ჩაწერეთ ის პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც აპლიკანტ ორგანიზაციასთან ერთად მონაწილეობენ პროექტის განხორციელებაში. თუ ასეთი ორგანიზაცია ერთზე მეტია, შესაბამისად დაამატეთ ჩანაწერები).

დ) საგრანტო პროექტში ასატვირთი დოკუმენტაცია:

დ.ა.) დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი (სავალდებულოა თანადაფინანსების ან/და პროექტის ფარგლებში მატერიალური თანამონაწილეობის შემთხვევაში);

დ.ბ.) საგრანტო პროექტში ჩართულ პირთა მონაცემები/CV;

დ.გ.) საგრანტო პროექტის სამოქმედო გეგმა;

დ.დ.) საგრანტო პროექტის ბიუჯეტი;

დ.ე.) პროექტის განხორციელების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და რეკომენდაცია: (I თემატური მიმართულების ფარგლებში შესაძლოა გულისხმობდეს მუნიციპალიტეტის/გუბერნიის წერილს ან/და რეკომენდაციას პროექტის განხორციელების

აუცილებლობის შესახებ, პროექტით გათვალისწინებული პრობლემატიკის გამოვლენისა და მოგვარებასთან დაკავშირებულ ჩატარებულ კვლევას ან/და მოკვლევას, სამიზნე ჯგუფების ხელმოწერებს, ფოტო-ვიდეო მასალას და სხვა.

II თემატური მიმართულებების ფარგლებში განმცხადებელი ქოლგა ორგანიზაცია ვალდებულია წარმოადგინოს მინიმუმ ბოლო ორი წლის მანძილზე გაწევრიანებული რეგიონული ორგანიზაციების ნუსხა (ორგანიზაციის სახელწოდება, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, ორგანიზაციის მისამართი და საიდენტიფიკაციო კოდი) და შესაბამისი დოკუმენტაცია ორგანიზაციების ქოლგა ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საგრანტო პროექტი შედგენილი უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფო ენაზე.

5. სააგენტოს კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპზე ვადების დაცვით წარმოდგენილი უნდა იყოს საგრანტო პროექტი (დანართი N1) სხვა დანარჩენ მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად.

მუხლი 6. საგრანტო კონკურსის ეტაპები

საგრანტო კონკურსის ეტაპებია:

- ა) კონკურსის გამოცხადება;
- ბ) საგრანტო პროექტის წარდგენა;
- გ) საგრანტო პროექტის დასაშვებობის შემოწმება;
- დ) ექსპერტთა კომისიის მიერ საგრანტო პროექტების შეფასება ქულათა სისტემით საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
- ე) ექსპერტთა კომისიის მიერ დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტების საგრანტო კომისიის მიერ განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
- ვ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 7. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს სააგენტო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის 2020 წლის 12 თებერვლის N26/ს ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

2. საგრანტო კონკურსის განრიგი და ვადები:

- ა) საგრანტო კონკურსი ცხადდება 2020 წლის 24 თებერვალს და სრულდება 2020 წლის 31 მარტს;
- ბ) 2020 წლის 24 თებერვალი - 31 მარტის 18.00 საათი - საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის საგრანტო პროექტების წარდგენა;
- გ) 2020 წლის თებერვალი - მარტი - რეგიონული საინფორმაციო ტურნეს ფარგლებში შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და ახალგაზრდებთან;
- დ) 2020 წლის თებერვალი - მარტი - საგრანტო კონკურსის საინფორმაციო კამპანია სოციალური ქსელის მეშვეობით.
- ე) 2020 წლის აპრილი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის საგრანტო კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ვ) 2020 წლის აპრილი – მაისი - კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების ექსპერტთა კომისიის მიერ განხილვა, შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ქულათა სისტემით შეფასება და გამსვლელი ქულით დადებითად შეფასებული საგრანტო პროექტების საგრანტო კომისიისთვის წარდგენა;

ზ) 2020 წლის მაისი - ივნისი საგრანტო კომისიის მიერ გამარჯვებული საგრანტო პროექტების გამოვლენა და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

თ) 2020 წლის ივნისი – გამარჯვებულ ორგანიზაციებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 8. გრანტის ხარჯვის პირობები

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, მიღებული გრანტი აითვისოს და ხარჯოს საგრანტო პროექტის მიზნების, პროექტის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულებების შესაბამისად, გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებულ საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად.

2. გრანტის გამცემთან ოფიციალური შეთანხმების გაფორმების გარეშე დაუშვებელია გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ნაწილში მუხლებს შორის ცვლილება ან/და რომელიმე მუხლში პუნქტის გაუქმება და ახალი პუნქტის შექმნა.

მუხლი 9. საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების განხილვის კომისიები

1. საგრანტო კონკურსის ორგანიზებულ მართვის, საგრანტო განაცხადების მიღების, მათი განხილვის, გრანტის მიმღების გამოვლენის და საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საგრანტო კონკურსის ექსპერტთა კომისია და საგრანტო კომისია.

2. ექსპერტთა კომისიის (დამოუკიდებელი ექსპერტები) შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით.

3. საგრანტო კომისია შედგება სააგენტოს არანაკლებ 3 თანამშრომლისა და ექსპერტთა კომისიის წევრებისგან.

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი

1. საგრანტო კომისიისა და ექსპერტთა კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი:

ა) რომელიც არის განმცხადებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ბ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი საგრანტო პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელიც შრომით ურთიერთობაშია განმცხადებელთან ან/და არის განმცხადებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის (ასევე, მმართველი ორგანოს - მაგ. გამგეობის წევრის) წევრის ნათესავი;

დ) რომლის საქმიანობა იწვევს დასაბუთებულ ეჭვს პირის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის შესახებ.

2. ამ წესის მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

- ბ) მეულლე, მეულლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
- დ) და-ძმა, მათი მეულლეები და შვილები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან, შესაბამის კომისიას აცნობონ აცილების საფუძვლებისა და მისგან გამომდინარე, თვითაცილების შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია აცილების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი კომისიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული საგრანტო პროექტის დამტკიცებამდე, შესაბამისი კომისია აუქმებს აცილებას დაქვემდებარებული პირის მიერ გაკეთებულ შეფასებას.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია აცილების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი კომისიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული საგრანტო პროექტის დამტკიცების ან/და გრანტის გაცემის შემდეგ, სააგენტოსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება წყდება და გრანტის მიმღებისთვის გადარიცხული გრანტი ექვემდებარება სააგენტოს ანგარიშზე დაბრუნებას.

მუხლი 11. საგრანტო განაცხადის შერჩევა

1. საგრანტო პროექტების მიღებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, საგრანტო პროექტების შერჩევის პროცედურებს ახორციელებს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და შერჩეულ პროექტებს უგზავნის ექსპერტთა კომისიას შემდგომი განხილვისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის 2020 წლის 12 თებერვლის N26/ს ბრძანებით დადგენილი წესით.

მუხლი 12. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. საგრანტო პროექტების შეფასებას ექსპერტთა კომისია ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის 2020 წლის 12 თებერვლის N26/ს ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1 გათვალისწინებული საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და შეფასების ქულის მინიჭებით.

2. საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა.

3. პროექტი ითვლება **საგრანტო კომისიაზე განსახილველად გასულად**, თუ დააგროვებს ყველა პროექტზე მეტ ქულას, მაგრამ არანაკლებ 70 ქულისა.

4. ექსპერტთა კომისიის მიერ ქულათა სისტემის გათვალისწინებით დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტები გადაეცემა საბოლოო განხილვისა და გამარჯვებულის გამოსავლენად გადაწყვეტილების მისაღებად საგრანტო კომისიას.

5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტის გამოვლენა (საგრანტო კომისიაზე განსახილველად გასვლისთვის) მოხდება ექსპერტთა კომისიის მიერ დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში, ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის) ხმა.

მუხლი 13. გამარჯვებული საგრანტო პროექტის გამოვლენა

1. ექსპერტთა კომისიის მიერ დადებითად შეფასებულ საგრანტო პროექტებს განიხილავს საგრანტო კომისია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იღებს ახსნა-განმარტებებს შესაბამისი განმცხადებლისგან. გამარჯვებულ საგრანტო პროექტს გამოავლენს ღია კენჭისყრის საფუძველზე.

2. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საგრანტო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
3. საგრანტო კონკურსის შედეგები საჯაროდ ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 14. გადაწყვეტილების მიღების ვადა

პროექტების შერჩევის პროცედურა უნდა დასრულდეს და გამარჯვებული გამოვლინდეს საგრანტო პროექტების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 70 (სამოცდაათი) დღის ვადაში.

მუხლი 15. საგრანტო ხელშეკრულება

1. გამარჯვებული პროექტების წარმდგენ ორგანიზაციებთან სააგენტოს ხელმძღვანელი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობები.
2. საგრანტო ხელშეკრულება ფორმდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის 2020 წლის 12 თებერვლის N26/ს ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2 დადგენილი წესით.
3. სააგენტო უფლებამოსილია საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე საგრანტო კონკურსში გამარჯვებულთან მოლაპარაკების საფუძველზე მოახდინოს საგრანტო პროექტის არაარსებითი საკითხების დაზუსტება/დაკორექტირება.
4. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან პროექტში ჩართული ძირითადი პირების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, სათანადო დასაბუთების საფუძველზე.
5. საგრანტო ხელშეკრულება არ იდება იმ შემთხვევაში, როცა:
 - ა) არსებითად შეიცვალა გარემოება, რის გამოც შეუძლებელია საგრანტო ხელშეკრულების დადება;
 - ბ) გამოვლინდა საგრანტო პროექტის განუხილველად დატოვების საფუძველი;
 - გ) არსებითად არის დარღვეული საგრანტო კონკურსის ჩატარების წესი.

მუხლი 16. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. სააგენტო ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
2. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის მიზნით გრანტის მიმღები სააგენტოს წარუდგენს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნარატიულ და ფინანსურ ანგარიშებს.
3. გრანტის მიმღები ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშები (როგორც შუალედური, ისე საბოლოო) სააგენტოს წარუდგინოს საგრანტო პროექტის სამოქმედო გეგმაში მითითებული შესაბამისი აქტივობის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.
4. მონიტორინგი გულისხმობს, როგორც საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტოს მიერ გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ასევე, საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი პროექტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების შემოწმებას.
5. ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯი;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯი. აღნიშნული ხარჯი მისი გამწვევის მხრიდან ექვემდებარება უკან დაბრუნებას სააგენტოს ანგარიშზე;

გ) გრანტის აუთვისებელ ნაწილად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება სააგენტოს ანგარიშზე დაბრუნებას.

6. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს ნარატიული და ფინანსური ანგარიშები საბანკო ანგარიშის ამონაწერთან ერთად.

7. მონიტორინგის განხორციელებისას, სააგენტოს უფლება აქვს, გრანტის მიმღებს მოსთხოვოს საჭირო დოკუმენტის, მასალებისა და ინფორმაციის წარდგენა.

მუხლი 17. საგრანტო პროექტის შეწყვეტა და გამოუყენებელი გრანტის დაბრუნება

1. საგრანტო პროექტი შეწყდება, თუ გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია, ან გამოვლინდება ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია 1 თვის ვადაში დააბრუნოს მიღებული გრანტი და იგი კარგავს დარჩენილი გრანტის მოთხოვნის უფლებას.

3. გრანტის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებით.

4. თუ საგრანტო პერიოდის ამოწურვის შედეგად დარჩება გამოუყენებელი თანხები, გრანტის მიმღები ვალდებულია საგრანტო პერიოდის ამოწურვიდან საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სააგენტოს დაუბრუნოს გრანტის გამოუყენებელი ნაწილი.

მუხლი 18. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ.

1. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილი ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, ვიდეო, აუდიო, ელექტრონულ პროდუქციაზე, ასევე ვებ-გვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს „სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო” - ს ლოგო და მითითებული იყოს, რომ პროექტი ხორციელდება „სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო” - ს მხარდაჭერით.

2. სააგენტო უფლებამოსილია, რომ გრანტის მიმღებთა მიერ შექმნილ მასალა გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს სააგენტოს ვებ-გვერდზე.

3. სააგენტო უფლებამოსილია, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის პროპორციულად, საგრანტო ხელშეკრულებაში განსაზღვროს პირობები, რომელიც მოეთხოვება გრანტის მიმღებს.